

# კომუნისტი

რედაქცია და კანტორა მოთავსებულია პასკვიანის ქ. № 3 მეორე სართულში. თვეური ხელის მომწირითა თვის განეთი ღირს 200 მან.

ფასი 10 მან.

№ 70 უბედურული ოკუპაციის საპარტიო საკითხების შესახებ და თბილისის კომუნისტებისა. № 70

ოთხშაბათს, 20 თებერვლს თბილისში გამოვიდა ყოველ დღეური გაზეთი რუსულ ენაზე: „საქართველოს კომუნისტი“.

## უპარტიო „დაპირკატი“-მის“ დოკუმენტი

Лиха беда — начало!

ქვეით მკითხველი გაცნობა ერთ დოკუმენტს, რომლისთვისაც მხოლოდ ერთი სახელი თუ გამოიძენება ქართული ენის ლექსიკონში: სახიზრობა. მკითხველს თვით რაც საქართველოს კომუნისტური პარტიის მრავალი წევრები ციხეებში არიან ჩაკეტილი. უმეტესი ნაწილი ბაქოსკენ იქნენ გადასახლებული ეტაპით, დანარჩენი ნაწილი კი დღემდე ამათ ელოდა დაპირებულ საბრალდებ-ბრძანებებს წარდგენას. მაგრამ „დემოკრატი“ არ ჩქარობდა. დღეს კი მას უკვე დროულად უცნია ნილაბის ჩამონაწერი და გაიშვლებულა შექრა ციხის ბნელ საკანში უღრესად დემოკრატიული დადგენილებით ხელში. თუ წინეთ, რამდენიმე წლის განმავლობაში, საქართველოს კომუნისტების ამარტოდენ ციხეში პლევრე-პროტოპოვის დროიდან დაჩენილ ბილეთებს, — სადაც აღბეჭდილი იყო რეაქციის ფორმული: „ფარული საზოგადოების წევრი, რომელსაც მიზნად უდგას სახელმწიფოებრივი წესწყობილების დამხობა“ და სხვ., დღეს დემოკრატი, რომელსაც თავს დაპყრობს თუმცა მრავალჯერ განაიხებულ რუსეთ-საქართველოს შორის დადებული ხელშეკრულება, იძულებულია საკუთარი ფორმული გამოიხატოს პლევრე-პროტოპოვისგან ნაადრევად დასაბრუნებელი წინააღმდეგ: განსაკუთრებულ რაზმის ლაბორატორიაში შეითხზილი „ცნობები“ უცხო სახელმწიფოსაგან მიღებული ფული, მათი შემწეობით ავტორი, იარაღის შექმნა, შექრა „მოქალაქეებში“, ჯარში და სხვ. — აი რა ფერუმარლით ითხუანება დემონის კიდით-კიდემდე სახელგანთქმული დემოკრატი, რომელსაც თითქმის 80 პროცენტი გზა სოციალიზმისაკენ უკვე გადელია აქვს, როგორც თითონ ეფიციენტის სოციალიზმის ცოცხალ ლეგენს. მართალია, ზოგს გაუგებრდება: განა მგვის რუსეთისაგან შემკვიდრებით არ მივიღეთ ჟანდარმერიასთან ერთად უწყლოვიტოვის „უგოლოვნიე ულოჟნიე“, რომლის მუხრუჭები სასტიკათ მოუჭერს ახლიც უცხოელ სახელმწიფოს“ დამხმარე და საკუთარი სახელმწიფოს დამაქცევარს? მაშ რატომ არ მიმართავენ სასამართლოს ასეთი უმანკო და პატიოსნებით აღსავსე დაწესებულების, როგორცაა ბ-ნ კედიას განსაკუთრებული რაზმი, „მოგროვილი ცნობებით“? მითომ არ მიმართავენ და ვერც მიმართავენ, რომ მიუხედავად ბევრგვარ ხელშეწყობ პირობებისა, შურისსიების მურგვით გადაქცეულ წვრილბურჟუაზიის ტყუილსახლაც მოკლე ფეხები აბია და ის ვერ გაუძლებს სოლოლაკიდან „სუღებნი“ ქუჩამდის მოგზაურობასაც კი.

ყვებინებს მას შიშობს და მის დაქმნა-ყოფილების საშუალებათა ძებნას. ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ მეცხვარეებსაც ყავთ მადრთობელი კატა, რომლის შიშით ჩინებულათ სწავავენ თავის სამწყსოს. ყოველ კრიზისის დროს, როდესაც მასში თავს აჩენს ხოლმე მღელვანება ან თუნდ უბრალო უკმაყოფილება, ისინი დაუღალავათ უჩიჩინებენ თავის ცხოვარით ერთ და იმავე დახეპირებულ შელოცვას. თქვენ რას უყურებთ აქაური ცხოვრების გაუარესებას; აი ვაიხებეთ საბჭოთა რუსეთისკენ, სადაც მოსაზრებითა ცხოვრების ყოველივე შესაძლებლობა, სადაც ყველაფერი გავრანებულ ვატიალქებულა, სადაც მთელ ქვეყანას უფსკრულისკენ მიაქანებს ეკონომიური კატასტროფა; დაინახეთ ეს და თქვენ მიხვდებით, რომ ჩვენი ქვეყანა ასეცა ყოველივე ამ უბედურობას და ის ნამდვილი სამოთხეა, ყოველგვარ საფრთხისაგან დაზღვეული. მაგრამ ის, რაც რუსეთის ხელშეუხებელ საკუთრებათ იყო დღემდე მიჩნეული, უღმობელ ფაქტათ გვევლინება ჩვენი პურთხეულ ქვეყანაშია. ფაქტი კი ჯერჯერ რამეა: ის, რაც უნდა უარყო, რაც უნდა არ იცნო, ბოლოს თითონ ვაცნობეს თავს. ეკონომიური კატასტროფა დღეს საქართველოს რესპუბლიკის სრულ უფლებიანი მოქალაქეა, და მას არა მარტო მოპოვებული აქვს ლეგალური არსებობის უფლება, არამედ თანამატი შიოდია მოღვაწე შესულიათ იგულს თავი. თვით მინისტრები, თვით მთავრობის თავმჯდომარე სკანონ და აღიარებენ, რომ ჩვენ არა თუ მივლივართ კატასტროფისაკენ, — ჩვენ უკვე მივიღით იქამდე“. მინისტრებს, უკვე მათი არც მათი ხელქვეითები ჩამორჩებიან და ყველა შეერთებული ძალით დაუწყებს ძებნას კატასტროფის მიზეზებს და იქიდან გამოსავალ გზას. მიზეზები, რაც უნდა ბლომათ მოინახონ ისინი და რაც უნდა ღრმა-აზროვნათ იქნენ დასაბუთებული, საბოლოოთ გამოიხატებიან შემდეგი მარტივი ფორმულით: ყველაფერი ეს სხვისი ბრალია, ჩვენ აქ არაფერ უნდა ვართ. იმის მაღლობლიც კი ვიქნეთ, თუ ყველაფერი ეს ადგილობრივ ან რუსეთის კომუნისტებს არ დააბრალეს და გადავხედოთ, თუ როგორ აპირებენ ამ კატასტროფიდან გამოსვლას. ძველი ეკონომიური წყობილება, მისი წონასწორობა დაინგრა, უნდა აღდგენილ იქნეს იგი, — აი განმოსავალი გზა. რანაირათ შეიძლება ამ გზაზე გასვლა? მეტათ აღვლოთ. მუშებმა თავ გამოადებით უნდა იმუშაონ, რომ შექმნან ხელნეტი ღირებულება და ეს კალაოტში ჩაყენებს მთელ წარმოებს, გააჯანსაღებს ფინანსიურ მხარესაც და ამნაირათ მოქმედება მთელი საკითხი. ასე ფიქრობენ და მოქმედებენ ევროპის ყველა ბურჟუაზიული მთავრობებიც. მხოლოდ, როგორც ვიცით, არავითარი უსამინევი ნაყოფი მათ ასეთ საქმიანობას კატასტროფის დაქვევის საქმეში არ მოაქვს. და ეს იმითომ, რომ დარღვეული არა მარტო წონასწორობა, არამედ დარღვეული და დანგრეულია თვით სისტემა წარმოებისა. ევროპით საქართველოში, კიდევ რომ წარმოვიდგინოთ მუშების მხრით ასეთი ნებაყოფლობითი მსხვერპლის ვალება, საქმეს მიიწვ ეს არაფერს უშველის. საქონლის წარმოების აღდგენა, შესაძლებლათაც რომ ჩავთვლოთ იგი დღევანდელ პირობებში, აუცილებლათ გულსისხმობს თვით საქონლის დაცვას, მის განადგურებას, მეტადრე ყველაზე მნიშვნელოვან საქონლის — სამუშაო ძალის — დაუბრკოლებლათ და შეუწყვეტლათ აღდგენას. სინამდვილეში კი საქმის მდგომარეობა ისეთია, რომ მუშა ძალის აღდგენა არ ხდება, მუშის ხელფასი სულ უფრო და უფრო ვერ იწვევა მისი ძალღონის აღდგენისთვის საჭირო საგნების ფასებს და ამნაირათ ეს საქონელი წარმოებიდან ვერ იბრუნებს მთელ დაბარჯულ რაოდენობას, რის გამო იგი იფიცება და ნადგურდება. რანაირათ შეიძლება მოითხოვოთ საშუალო ძალიდან ინტენსიური შემოქმედება, როდესაც მას ყოველ დღე აკლდება თავისი სასიცოცხლო წყარო! მართალია, ამ საქონელს აქვს კაპიტალისტისათვის ერთი მეტად ხელსაყრელი თვისება — წარმოშვას იმაზე მეტი ღირებულება, რასაც იგი თითონ წარმოადგენს. მაგრამ ეს სასწაული მას შეუძლია მოახდინოს იმ პირობით, თუ ის საყვებით აღდგენილია და რაკი ეს პირობა არ არის დაცული, ბურჟუაზიულ ნიადაგზე წარმოების აღდგენა შეუძლებელი ხდება. არა ძველი წყობილების აღდგენა, არა საქონლის წარმოების ხელახალი გაძლიერება, არამედ ახალი წყობილების შექმნა, მოსხმარ საგნების წარმოების შეგნებულათ გაწესიერება — აი რა გამოიყვანს კაპიტალიზმს (და არა მარტო საქართველოს) უკვე მძვინვარე კატასტროფიდან.

სოციალიზმი და აი კაპიტალიზმი, ახალი ყოველივე უკეთესი და თანავე უფროსი აღდგენა — აი, რით უნდა იხელმძღვანელოს მუშათა კლასმა, როდესაც ის სერიოზულათ ცდილობს კატასტროფიდან თავის დაღწევას. ასეთ პირობებში მისი საშუალო ძალა აღიარებულა საქონელი და მას შეეძლება მოახდინოს ის სასწაულიც, რომ კაპიტალიზმის ნანგრევებზე აღმართოს შრომის საფეო, სადაც მთელი საზოგადოება იქნება წარმოებაში ჩამხული და ამავე დროს მისი უწყვეტლათ გამწესიერებელი. მხოლოდ სოციალიზმი დაიხსნის კაპიტალიზმის კრახათ მოყენებულ უბედურებათაგან.

კაპიტალიზმის ტყვენიერება და კომუნისტური ინტერნაციონალი (მანიფესტი კომუნისტური ინტერნაციონალის მე-2 კონგრესის) (გაგრძელება იხ. № 69)

### III.

#### ბურჟუაზიული რეჟიმი იმის შედეგად.

მკონებელ კლასებს ყველა ძალები მიმართულია იმის საკითხისკენ: თავი გადირჩინონ საერთაშორისო შეტაკებაში, და არ დაინებონ პროლეტარიატს ქვეყნის ბატონ-პატრონათ გახდომა. ამის და მიხედვით ბურჟუაზიის წრეებში უწინდელ პოლიტიკურ ჯგუფებად დაყოფამ გავლენა დააქრავა. არა თუ მარტო რუსეთში, სადაც კადეტების პარტიული დროშა გადამჭრულ ხანაში იქცა დროშად ყველა მდინარების წინააღმდეგ მუშურ გლეხური რევოლუციის, არამედ იმ ქვეყნებშიც კი, სადაც დიდი ხნის პოლიტიკური კულტურა იყო ღრმად გამჯდარი, უწინდელი პროგრამები, რომლებიც ყოფდნენ ბურჟუაზიის სხვა და სხვა წრეებს ერთმანეთისგან, თითქმის უკვლავ წაიშალნენ ჯერ კიდევ მაშინ, როცა პროლეტარიატის რევოლუციის არ ეჩინა აშკარათ თავი. ლიბერალური გამოდის მქადაგებლად კონსერვატორების, უნიონისტების და

ლიბერალების გაერთიანებისა საერთო ძალიანთ საბრკოლებლად მუშათა კლასის მოახლოებულ გაბატონების წინა აღმდეგ. ძველი დემოკრატი პირველ რიგში აყენებს კეთილმოწყობენ ეკლესიას, ვითარცა ცენტრალურ ელექტრონის სადგურს, რომელიც თანაბრად ასაზრდოებს თავისი ნაკადით მკონებელ კლასების ყველა პარტიებს. საფრანგეთში სულ რამოდენიმე ხნის წინათ სუფევდა ბაქი-ბუქობით საგნებზე ანტიკლერკალური აზროვნება — ახლა ეს ეპოქა სასაფლავს მოიწვევებს წაავაგებს. რადიკალები, რიალიტები და კათოლიკები შეადგენენ ახლა ბლოკს ნაციონალური წესრიგისა, თავწამოუყოფელი პროლეტარიატის წინააღმდეგ მიმართულს. საფრანგეთის მთავრობა, უწყვილის რა ხელს რეაქციის ყველა ძალებს; მხარს უჭერს შერაზმულ გრანდებს და აახლებს დიპლომატიურ ურთიერთობას ვატიკანთან. ნეიტრალიზტი და გერმანოფილი ჯიოლიტი ადვილს იჭერს იტალიის სახელმწიფოებრივ საქმესთან, როგორც საერთო საზღვარს ინტერვენციონისტების, ნეიტრალიტების, კლერკალების, მიძინისტების და მზათ არის მეორე ხარისხოვან შინაურ და საგარეო საქმეებში გაძრომ-გამომძრომის პოლიტიკა აწარმოვოს, რათა მათ უფრო დაუზოგველად გაუმკლავდნენ ქალაქის და სოფლის რევოლუციონურ პროლეტარიატის შემოტევას. ევროპის მთავრობას საზარალისადაც შეაჩნია თავისი თავი იტალიის ბურჟუაზიის უკანასკნელ იმედათ. გერმანიის ყველა მთავრობების და მთავრობის მომხრე პარტიების პოლიტიკა გოგენცოლერის საზიხელ დამარცხების შემდეგ გამოიხატებოდა იმაში, რომ ცდილობდნენ დამყარებიათ ანტანტის მმართველ კლასებთან საერთო ნიადაგი ბოლშევიზმისადმი, ე. ი. პროლეტარული რევოლუციისადმი სიძულვილისა. ამერიკაში სრულიად უკვლავ წაიშალა საზღვარი რესპუბლიკანულსა და დემოკრატიულს შუა. ამ ექსპლოატატორთა მძლავრმა პოლიტიკურმა ორგანიზაციებმა, რომლებიც შედგებული იყვნენ ამერიკის შინაურ ურთიერთობათა კონკრეტობისთან, გამოამკლავნენ თავიანთი სრული უშიშარობა, როცა ამერიკის ბურჟუაზია მსოფლიო ყაჩაღობის მოვლანზე გამოვიდა. ცალკე ბელადების და პოლიტიკურ შაკების ინტრიგებენ — როგორც თაბოციის წარმომადგენლებში, ისე სამინისტროებში — არ ყოფილა ასე აშკარა ცივიკური, როგორც ახლა. მაგრამ ამავე დროს ყველა ქვეყნების ბურჟუაზიის ბელადები, პოლიტიკური შაკები და პარტიები ქმნიან საერთო ფრონტს რევოლუციონური პროლეტარიატის წინააღმდეგ. მაშინ, როდესაც სოციალ-დემოკრატიის ჩერჩრებები უპირდაპირებენ დემოკრატიის საველ გზას დიქტატურის ძალდატანებით გზას, დემოკრატიის უკანასკნელი ნაშთები ისრისება და ისპობა დედამიწის ყველა სახელმწიფოებში. შემდეგ ომისა, რომლის დროს ნაციონალური წარმომადგენლობითი დაწესებულებები თამაშობდნენ როლს ძალაუფლების მოკლესულს, მაგრამ მცვირალა პარტიოტულ საფარველისას მმართველ იმპერიალისტურ შაკებისთვის, პარლამენტები საგნებით დამბლა დაცემული შეიქმნენ. ყველა სერიოზული კითხვების გადაწყვეტა პარლამენტს გარეშე ხდება. ასეთ სურათში არავითარი ცვლილება არ შეაქვს იმ გარემოებას, რომ პარლამენტის უფლებების გარეგნული გაფართოება ხდება, რასაც ხეივით საქმეებით აცხადებენ იმპერიალიზმის ჯანსაღი იტალიაში და სხვა ქვეყნებში. ნამდვილი ბატონ-პატრონები კი სახელმწიფოების ბედ იღბლის — ლორდ როტშილდი და ლორდ ვეიარი, მორფანი და როკველერი, შნიდერი და ლუშერი, გუკო სტინესი და ფელიქს დეიჩი, რიცელლო და აგნელი — ყველა ეს მაგნატები ოქროსი, ქვანახშირის, ნავთის და ლითონის მოქმედებენ კლიოსებს უკან, პარლამენტებში კი აგზავნიან თავიანთ მუშაობისათვის მიმართულების მისაცემად თავიანთ მეორე ხარისხოვან ნოქრებს. საფრანგეთის პარლამენტი, ყველაზე უფრო სახელგატეხილი სიცრუის რითორიკით და მექანების მოყვებით, რომელიც თავს იქცევს ყოველად უმნიშვნელო კანონპროექტების სამჯერ წაკითხვის პროცედურით, მოულოდნელად ტყობილობს, რომ ის 4 მილიარდი, რომელიც დანიშნული იყო საფრანგეთის განადგურებულ ოლქებისათვის, სულ სხვა მიზნებისთვის მოუხმარებია კლემანსოს, უმთავრესად კი რუსეთის მხარეების განადგურების გაგრძელებისთვის. ინგლისის ვითომდა ყოვლის შემდეგ პარლამენტის დეპუტატების დიდი უმრავლესობამ იცის თუ რა მზანხვს ისახავენ სინამდვილეში ლიბერალური და კერძონი საბჭოთა რუსეთის და თვით საფრანგეთის მიმართაც, ცოკათი უფრო მეტი, ვინც იქონ ინდუსტრულ დამარტებმა ბენგალის სოფლებში. შეერთებულ შტატებში პარლამენტი წარმომადგენს მორჩილ ან მოწუწუნე ხორის პრეზიდენტისა, რომელიც ჩაყენებულია საარჩევნო მანქანის დახმარებით, ეს უკანასკნელი კი წარმოადგენს ტრესტების პოლიტიკურ აპარატს და ახლა, ომის შემდეგ გაცილებით უფრო, ვიდრე წინათ. დავიანებული გერმანიის პარლამენტიარში, ეს უღლეური ნაყოფი ბურჟუაზიული რევოლუციისა, რომელიც თითონ უღლეური ნაყოფია ისტორიის, შეპყრობილია თავისი სიყრმეშივე დაჩაჩნაკებული სიბერის ყველა სენით: „დღევანდის ყველაზე უფრო დემოკრატიული“ რეინსტატი ინტერეს რესპუბლიკისა უძლეურია არა მარტო ფრანგის სამართლო კერძონის წინაშე, არამედ საკუთარი სტინესების საბრკო მახინციების წინაშეც; აგრეთვე საკუთარი აფიცრების შაკის სახელმწიფო შექმნულებათა წინაშე. გერმანიის საპარლამენტო დემოკრატია წარმოადგენს ცალკე აღვილს ორ დიქტატურის შუა. თვით ბურჟუაზიის შემადგენლობაში ომისთვის ხანაში ღრმა ცვლილებები მოხდა. საყოველთაო, მთელი ქვეყნის გალატაკების ნიადაგზე კაპიტალიზმის ერთად დაგროვების პროცესსა ერთმანედ დიდი ნახტომი გააკეთა წინ. პირველ რიგში მოექცნენ ისეთი ფიქში, რომლებიც წინად სრულიად დაჩრდილული იყვნენ. სერიოზული საქმის წარმოება, შეურყეველობა, „გონიერ“ კომპრომისების დამგება, ერთგვარი დემოკრატი როგორც ექსპლოატაციის, ისე მისი ნაყოფის მითვისებაში — ყოველივე ეს წაღვეა იმპერიალისტური წარდგენის ტალღებში. წინა რიგში ჩადგენ ახლად გამადრეგებულს: სამხედრო მასალის მიმწოდებელნი, დაბალი პრობის სპეკულიანტები, მატრაკეციები, საერთაშორისო ავანტიურისტები, კონტრაბანდისტები, სისხლის სამართლის დამანაშავეები ბრილიანტებით შექმნილინი, აღვირწყობებული არამხადები, ფუფუნებად დახარბულნი, რომელიც მზად არიან უკიდურესი მხეცობა დუშორდაპირონ პროლეტარულ რევოლუციის, რომლისგანაც ისინი საბრკოლიანად მოედინათ თავისთვის მხოლოდ ჩამოსახრობ მარყუქს. (შემდეგი იქნება)

### კომუნისტი

ვის არ გაუგონია, რა ხრიკს მიმართავს მეცხვარე ქარბუქის დროს თავი ის ცხვრის ფარის გადასარჩენათ. ის ფარეზში ეტყვის მთელ ფარას და ამავე დროს გულდასი კატას ამწყვდევს, რომლის ფხაკური აზინებს ცხვარს და ავიწყობს მის მკითხველს.





თავის რევოლუციონერ მოქმედების მრავალ წლის განმავლობაში მე მიხედვით დასწრება მრავალ დიდ ყრილობებზე, მაგრამ მე სიმართლე უნდა გითხრა, რომ ამ ყრილობაზე უფრო დიარსულია მნიშვნელოვანი ყრილობა, რომელსაც დიდი რევოლუციონერი შედეგები მოყვება, ყრილობა, რომელსაც ასეთი გიგანტური მნიშვნელობა აქვს, რადგან ის რაღაც ახალზე და ჯერ არ მომხდარ ამბებზე გველაპარაკება—აი, ასეთი ყრილობა არც ერთ ჩვენთაგანს არ მოგვიწყვია და შიგ მონაწილეობაც არ მიგვიღია.

ასეთი ყრილობა მოხდა ეხლა. ეს აღმოსავლეთის ხალხთა ყრილობა შევიდა კაცობრიობის ისტორიაში იმ წუთიდან, როდესაც შეიკრიბნენ აღმოსავლეთის ჩაგრული და გაყვდილი ხალხები.

ის პირველი თავმჯდომარის ზარის ხმა, რომელიც გაისმა ამ ტრიბუნიდან—ყო ბურჟუაზიისათვის სამგლოვიარო ზარის ხმა.

ამხანაგებო, ჩვენ, რომლებიც მონაწილეობას ვიღებდით ყრილობის მუშაობაში და რომლებიც ვინაობით ვინაობით შედარებით მცირე საკითხების გარეშევის დროს კამათში, ყოველ შემთხვევაში ვერ უწყვედით ანგარიშს თავს, როგორ ისტორიულ ამბებში ვლტულობთ ჩვენ მონაწილეობას. ამხანაგებო, აბა ერთი მოთქმით, თუ რა მოხდა ამ დარბაზში.

ამხანაგებო, უკვე აჯანყებისათვის ემზადებიან ის ხალხები, რომელთაც მთელი ბურჟუაზია, მთელი ბურჟუაზიული ქვეყანა უწყობდა, როგორც წყლის მომტანი ჯაბრიკა ცხენს, როგორც შავი ძვლის ხალხებს, რომლებიც სპეციალური დანიშნულებით ბურჟუაზიის სამსახური—მათთვის წყლის ზიდვა.

უკვე აჯანყებისათვის ემზადებიან ის ხალხები, რომლებიც შესაბამის ბურჟუაზია ყოველთვის დამზიდებული იყო და ამბობდა—აქ, ბატონო, არავითარ აჯანყებას არ ექნება ადგილი. უკანასკნელ წლებში ბურჟუაზია ყოველთვის შიშობდა, რომ აჯანყებები დასავლეთის მოქმედები, მაგრამ აღმოსავლეთის ხალხების შესაბამის არც უკრის იბერტყდა და უკანასკნელ დროდის მოსვენებით ეძინა. როდესაც ბურჟუაზიის ეძინა რბილ ძალიშებზე და ისე სწყვეტდა აღმოსავლეთის კითხვას, როდესაც ის დარწმუნებული იყო, რომ აღმოსავლეთიდან მას არავითარი მოულოდნელი რამ საფრთხე არ მოეღოს—აი, ამ დროს იკრიბებიან აღმოსავლეთის დაჩაგრული ხალხები, კავშირდებიან და სულს ამბავლებელ ერთსულონებში გამოდიან საერთო კითხვების გადაწყვეტაში. (ტაშვი) აი, რა არის უშთაგონებელი ჩვენს ყრილობის მოქმედებაში.

აბა ჩაუვირდით, ის ხალხები, რომლებიც ათეულ წლებით სამეჯღროს-სიციკლოლო ბრძოლას აწარმოებდნენ ერთი მეორის წინააღმდეგ, რომლებიც არავითარ კავშირში არ იყვნენ ერთი მეორესთან—აი, ამ ხალხების წარმომადგენლები პირველ წუთიდანვე გრძობენ აქ თავს, როგორც ერთ ოჯახში, მიუხედავად იმისა, რომ ოკდათი სხვა და სხვა ეროვნების წარმომადგენლებია აქ შეკრიბილი, მიუხედავად იმისა, რომ მათ ერთი მეორის ენა არ იციან. ჩვენ შორის უმალ ჩამოვარდა ძვირი ერთსულოვნება, ამიტომაც თავის თავთ ცხადია, რომ ჩვენს თავს გვგრძობთ აქ, როგორც ერთ ოჯახში, ძვირ, მეგობრულ ოჯახში. აი, რააა ჩვენი ყრილობის სიდიადე ეს უზრალე ელემენტარული ფაქტია, მაგრამ სწორეთ, რომ ამისთვისაა ეს ყრილობა დიადი. და ჩვენ სრული უფლება გვაქვს ვსთქვათ, რომ ასეთი ყრილობები, როგორც ბაქოში ამ დარბაზის კედლებზე ნახებ 1920 წლის სექტემბრის დასაწყისში ასეთი ღირს შესანიშნავი ყრილობები ჯერ არ ყოფილა ქვეყანაზე. ეს ყრილობა იმისი მაჩვენებელია რომ უკვე უაღა ძველ ბურჟუაზიულ, დამაგრებლების ქვეყნის აღსასრული, ეს ყრილობა იმის მაჩვენებელია, რომ უკვე იღვინებს მშობელ კაცობრიობის უკანასკნელი რეზერვები, იმისთვის, რომ შექმნან სრულიად ახალი წყობილება და ისეთი წესრიგი, როგორც ჩვენს მიწაზე ჯერ არ ყოფილა.

ამხანაგებო, ჩვენს ყრილობის შემადგენლობა არ არის ერთგვარი, ის კრებულია აქ არიან ერთი ქვეყნის წარ-

**ნეტავ ვის წაღვეს სისხლთ-ნიადგარი?**

ტანჯვის სარდაფში სცემს ჩაქურები, გრდელზე სქედავენ ფოლადსა, რკინებს; ცეცხლის კოკონი ქვეყნათ გუზგუზებს და იქ ხრავენ ადამის შვილებს.

ნეტავ ვინ ლხინობს შექმნილ ზემიით? და ამდენ მსხვერპლით ვინა ქორწინებს? ომი, წამება—მდიდართ უყვება; რას მოგვინაღვლის მშრომელთა შვილებს?

ყვილვან შავ მკლებათ გვევლინებიან, შავ სულარაში გვიხვევენ იმედს, და ყორნებივით სალიკლიდინა გადაცქერიან შავი ზღვის სიღრმეს.

აქ ქორიზხალი ზუზუნებს მთებში, ტალღებთ მოაქვს სეტყვა და ნისლი... კეცხლმა იფეთქა მშობელთა გულში: მები სქექს, გრგვინავს, სცვივა ყუმბარა.

ნეტავ ვის წაღვეს სისხლთ-ნიადგარი? ან ვინ შეიჩინეს სიცოცხლეს, იმედს?

აი კითხვები, რაც ბევრს აღონებს. უმოქმედობას მათეყე ამონებს, ლაჩარი სულით, დამცირებული მხაგრელთან გარბის, ჩაგრულებს სტოვებს... იხევა ფარდა სისხლში მოსვრილი!

აბა ვლვარებს მზისა სხივები! შრომისა ძებო, ტანჯვის საფლავზე, დავკრიფთო ყვავილთ თაიგულები!

გზ-შვილი

მომადგენლები, სადაც უკვე განხორციელებულია საბჭოთა მთავრობა, ეს რესპუბლიკები ეხლა დებია ჩვენი, რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის. მეორე მხრივ ამ ყრილობაზე არიან ისეთი ქვეყნების წარმომადგენლები, სადაც სწარმოებს უკვე გაცხარებული ბრძოლა, და სადაც ბრძოლა მხოლოდ ეხლა დაიწყო. ჩვენ არ გვაქვს აქ ერთგვარი წარმომადგენლობა და თუ იმან გამოიყვია ზოგი გაუგებრობა. როდესაც ირჩეოდა კითხვა ჩვენს აღმასრულებელ ორგანოს შესახებ, ზოგი ჩვენი ამხანაგები ისე გრძობდნენ თავს, რომ ვითომდა ისინი იყვნენ აღმოსავლეთის ხალხების საბჭოების ყრილობაზე. ეს ჯერ კიდევ არ არის.

ჩვენ ვებღაუო ინდოეთს, რომელსაც აქ მცირე რიცხვით წარმომადგენლები ჰყავს, უზარმაზარ ქვეყანას, რომელიც იჩაგრება ინგლისის კაპიტალის წყალობით, სადაც ჯერ კიდევ არ არის საბჭოთა რესპუბლიკა, სადაც მხოლოდ ეხლა იწყებს გავლევებს ბრძოლა.

ჩვენ გვაქვს ისეთი ქვეყნები, როგორც ოსმალეთი, სადაც სამოქალაქო ომი სრულიად აშკარათ სწარმოებს, სადაც ჩამოდენიმი მთავრობა არის და სადაც ბრძოლა აწი უკვე არ შეჩერდება ჩვენ ასოსევე სურათს ვებღაუო სპარსეთშიც, სადაც არსებობს ორი მთავრობა, სადაც ბრძოლა ყოველ დღე მატულობს. მეორე მხრივ ჩვენ ვებღაუო ბურჟუაზიულ დემოკრატიულ რესპუბლიკას, როგორც სომხეთი. აქ ხშირად ლაპარაკობენ „სომხეთზე“, ერთიანი სომხეთი აღარ არსებობს, არსებობს ერთი მხრივ მუშათა და გლეხთა სომხეთი, რომელ-

საც ჩვენ უწყვეტ ძეგრ ხელს. და მეორე მხრივ არსებობს წყველი, ჯალათური, დაშინების ბურჟუაზიული სომხეთი. (მქუხარე ტაში).

ასეთივე მდგომარეობაა საქართველოშიც. საქართველოს მუშები და გლეხები ეხლა დაჩაგრული არიან, იმ მიზეზით, რომ მთავრობის სათავეში დგანან სოციალ-დემოკრატები, აი ამ მიზეზით საქართველოს ზოგი ძველი, საუკეთესო მებრძოლები ციხეში არიან დამწყვდილები.

და ეხლადელი საქართველოს ბელადი, როგორც არის ყორდანი, იქამდისაც კი მივიდა, რომ მავალითად, ერთხანს ციხეში ყავდა დამწყვდილები თავისი ძველი მასწავლებელი, ძველი რევოლუციონერი შიხა ცხაკაია. ერთიანი საქართველო არ არსებობს. არის საქართველო ბ-ნ ჩხეიძე, გეგეკორის და კომპანიის, რომლებიც დაძრწიან ევროპის ბურჟუაზიულ სამინისტროების დერეფნებში, და მეორე მხრივ არის საქართველო პარტიისან მუშების და გლეხების, რომლებიც ჩვენი ძებია და რომლებთანაც ჩვენ ვივლით ხელხელ ზაკიდებული მომავალი ახალი ქვეყნებისაკენ. (ტაში).

ამხანაგებო, მით უფრო ღირსშესანიშნავია ეს ყრილობა, რომ ის ასეთი მრავალ ფეროვანია თავისი შემადგენლობით (ეროვნებების მხრივ), მაგრამ მიუხედავად ამისა ეს ყრილობა ყველა ძირითად კითხვების გადაწყვეტაში ერთსულოვანი იყო. ყველა კითხვების გადაწყვეტაში ჩვენ ერთად მივიდიოდით და ერთადვე მივიღეთ ბოლომდის. (გაგრძელება იქნება)

**გიულესტენი პრესბიურისი**

რ. ხ. ფ. ს. რ. წარმომადგენლობისა საქართველოში.

**ამხ. სტარკის პროტესტი.**

შოხკოვი, 14 ოქტომბერი. საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელმა თბილისში ამხ. სტარკმა საქართველოს მთავრობას პროტესტით მიმართა საბჭოთა რუსეთის იმ შეურაცხყოფისათვის, რომელიც დაუსწავა საქართველოს მთავრობამ თავისი წარმომადგენლების გამოსვლით ოსმალეთის ნაციონალური მთავრობის ჯარების სომხეთზე შემოტევის გამო მოწყობილ მითინგებზე.

**რუმინისათან საზავო მოლაპარაკებები.**

შოხკოვი, 14 ოქტომბერი. რუსეთის საგარეო საქმეთა კომისარმა ამხ. ჩიჩერინმა რუმინის მთავრობისაგან რადიო მიწლი, რომლითაც იუწყება, რომ რუმინიას სურს გაიგოს რუსეთის მთავრობას რა საფუძვლებზე სურს საზავო მოლაპარაკებებს შეუდგეს. პასუხის მიღების უმალ რუმინის მთავრობა დანიშნავს დელეგატებს, რომლებიც საბჭოთა მთავრობასთან შევლენ კონტაქტში.

ამხ. ჩიჩერინმა უპასუხა, რომ ეს საფუძვლები ორივე მხრის უფლებებისთვის ხელსაყრელია. ამ საფუძვლებზე იოლათ შეიძლება შეთანხმება მოხდეს. პასუხის

მიღების თანავე გაცნობებათ დელეგატების სიაც.

**ზავი ფინლიანდასთან**

შოხკოვი, 14 ოქტ. 14 ოქტომბერს, სალ. 4 საათზე ფინლიანდასთან საზავო ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს.

**ახალი მუშათა დელეგაცია რუსეთში.**

შოხკოვი, 15 ოქტ. ჩეხოსლოვაკიის და რუმინის პროფესიონალურ კავშირების დელეგაციასთან ერთად პეტერბურგში ამერიკის პროლეტარიატის წარმომადგენელი ჩამოვიდა. დელეგაციას მოსკოვშიც ელიან.

**პოლონელები „კმაყოფილი არიან“**

ლიონი, 15 ოქტ. პოლონელები აღიარებენ, რომ ისინი რიგაში მოლაპარაკებების შედეგებით კმაყოფილი არიან და ამბობენ, რომ ეს წინასწარი მოლაპარაკებები უთუოდ მტკიცე ზავის შეკვრას გამოიწვევს.

**ბერძნებმა წინსვლა შეაჩერეს.**

კონსტანტინოპოლი, 1 ოქტომბერი. ანატოლიიდან მოსული ცნობით, ბერძნები იძულებული შეიქმნენ თავის ჯარების წინ სვლა შეეჩერებიათ იმის გა-

მო, რომ ქეზლისტებმა ისმირის და ესკი-შვირის შუა გააფუქეს რკინის გზა, აფეთქეს დოფინძივის რკინის გზის ხილი და ბეზირხანის გვირაბი.

**არეულობა საბერძნეთში**

ბათუმში, 13 ოქტომბერი. ტრაპიზონის გაზ. „იკბალი“ იუწყება: „საბერძნეთში თვალსაჩინო ამბები ხდება. სმირის ფრონტზე საბერძნეთის ორი დივიზიამ ჯანყები მოაწყო. ნაწილები დაშალეს“.

შოხკოვი, 12 ოქტომბერი. ინგლისის სამფლობელოში, ინდოეთში რკინისგზელთა საერთო გაფიცვები დაიწყო.

**სიმშვილობა პოლონეთში.**

შოხკოვი, 12 ოქტომბერი. პურის სიმცირის გამო ლომში გაფიცვები დაიწყო. 100 ათასი გაფიცული პურს მოითხოვს.

**ყველა წითელარმიელებისკენა.**

შოხკოვი, 12 ოქტომბერი. გლეხი იგუმენის მახრიდან, რომელიც დიდ ხანს იყო პოლონელების უღელ ქვეშ, სწერს თავის შვილს წითელ არმიელს: ჩვენ წითელ არმიელების სასარგებლოდ უნდა გავგელო 10 ათასი ფული პური, მაგრამ ჩვენს სოფელში 100 ათასი ფული პური დაგროვდა. ერთი სიტყვით ჩვენ მზათ ვართ ყოველივე ძალ-ღონით დავეხმაროთ წითელ არმიას: ვისაც შეძლება აქვს, წითელ მოხალასებობა წავლენ“.

**სამრეწველო კრიზისი საფრანგეთში**

შოხკოვი, 12 ოქტომბერი. როგორც ლილიდან იუწყებიან, მასალის უქონლობის გამო, ფაბრიკები კვირაში 3-4 დღე მუშაობენ.

**უტიფრათ უარს ყოფენ.**

რიგა, 10 ოქტომბერი. საფრანგეთის გაზეთები უარსყოფენ იმ ცნობას, რომ საფრანგეთის ესკადრა ხმელთაშუა ზღვაში ემზადება ადვისსკენ წამოსასვლელათ.

**ინგლისი მხარს უჭერს პოლონეთ-რუსეთის ზავს.**

შოხკოვი, 12 ოქტომბერი. „ტაიში“ ერთ თვის წერილში იწონებს რუსეთ პოლონეთის ზავს შემდეგ პირობებში: რუსეთის მიერ აღთქმა ყველა ძველი ვალების გადახდაზე; ანტი-ბრიტანული პროპაგანდის შეწყვეტა. ვახეთი მოთხოვს დაუფინანსებლად ზავის ჩამოგდებას, რათა აღდგენილ იქნეს სავაჭრო ურთიერთობა საბჭოთა რუსეთთან.

**იტალიის ოპორტიუნისტების პოზიცია.**

ლიონი, 13 ოქტომბერი. იტალიის მემარჯვენე სოციალისტების ყრილობაზე როდეთში მიდლიანნი, ტურატი და სხვები ამტკიცებდნენ, რომ ცდა—ბალშევიზმის განხორციელებისა იტალიის ხალხში აბსურდიაო. დუგონმა განაცხადა, რომ არსებული ეკონომიური მდგომარეობა უფრო გაუარესდება: მაშინ საზღვარგარეთიდან იტალია დახმარებას ვერ მიიღებს. ორატორებმა უარი განაცხადეს მესამე ინტერნაციონალში შესვლის.

**უკანასკნელი ცნობები**

სამხ. ოპერატ. 14 ოქტომბრის რადიო-ცნობა რესპუბლიკის „რევოენსოვეტის“ სავლელ შტაბისა.

შოხკოვი, 15 ოქტომბერი.

**პოლონეთის ფრონტი**

მოლოდინებს მიმართულებით მოწინააღმდეგე დაბა სოსენკა და დოლგინო დაიკავა.

მინსკის რაიონში შინსკის დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით მდ. ვიაჩაზე მწვავე ბრძოლებია.

სლოუკის რაიონში მწვავე ბრძოლები გრძელდება.

ლუნინეცკის მიმართულებით დ. ტუროვის აღმოსავლეთით მოწინააღმდეგის იერიშები უწყვეტია.

ნოვოგრად ვოლინის მიმართულებით ჩვენი ნაწილები შეტევას განაგრძობენ.

სტარო-კონსტანტინოვის მიმართულებით დაბა ლიუბარის რაიონში ბრძოლებია.

პროსკუროვის რკინის გზის და დნესტრის შუა მოწინააღმდეგე დიდი ძალდებით შეტევას აწარმოებს.

**ვირიძის ფრონტი.**

ნიკოპოლის რაიონში ჩვენს ცენოსნებმა ცხარე ბრძოლებში შემდეგ დაამარცხა მოწინააღმდეგე მდ. ბუზულუკზე და სწრაფი დადევნებით უწესრიგო გაფანტა. მოწინააღმდეგე ზარბაზნებს და ჯავშნიან მაშინებს ყრის და დნესტრის მარცხენა ნაპირებზე გადადის. ჩვენ ხელთ ვივლით ზარბაზნები, ტყვიისმფრქვევლები, ყუმბარის ყუთები და სხვა დავლა.

**კომუნისტების ლეკალიზაცია**

ქუთაისიდან გვატყობინებენ, რომ ციხეში კიდევ ათ ჩვენ ამხანაგისათვის გამოუცხადებიათ შინ. საქ. მინისტრის დადგენილება აღმინისტრაციული წესით 1 წლით დაპატიმრების შესახებ. დადგენილება შეიცავს ასეთ სიბრძნეს:

„მე შინაგან საქმეთა მინისტრმა, განვიხილე მოხსენება განსაკუთრებული რაზმის უფროსის შესახებ (სახელი და გვარი კომუნისტის) და მივიღე რა მხედველობაში, რომ აღნიშნული პირი როგორც სიანს მოგროვილი ცნობებიდან, იღებდა ფულებს უცხოელ სახელმწიფოსაგან და ამ ფულით ეწეოდა ატივაციას იმ სახელმწიფოს სასარგებლოდ, იძენდა აგენტებს ამ მიზნისთვის, ეწეოდა არალეგალურ მოშაობას როგორც მოქალაქეებში, ისე ჯარში საქართველოში. დემოკრატ. რესპუბლიკის წინააღმდეგ—დავადგინე: თანახმად 1919 წლის 21 ნოემბრის დეკრეტის... როგორც მაგენ პირი რესპუბლიკისათვის დატყუარებულ იქნას 1 წლით ლილიან შეპყრობისა...“

**გუგათა ნაჩილაკი**

რა უნდა აკეთონ რკინისგზელებმა ამ მოკლე ხანში ჩვენს რკინის გზების სახელსონობში და ხაზზე დაიწყება არჩვენები მომავალი რკ. გზ. ყრილობისათვის, რომელმაც უნდა გადაწყვიტოს თუ ვის ხელში დარჩება მომავალში რკინისგზელების ბედი.

ეს ფრიად საინტერესო კითხვია. და ამისათვის მიზანს მოკლებული არ იქნება ორიოდ სიტყვის თქმა.

დღემდე რკინისგზის ყველა პროკავშირეში იყვნენ გაბატონებული აგენტ-მენეჯერები, რომელთაც ამ ორი წლის განმავლობაში მძიმე მუხრუჭში ყავთ მომწყვდილები დიდი უმრავლესობა რკინისგზის მუშებისა.

ყველგან და ყოველთვის ამ ვაებატონების წყალობით იქონლებოდა ყოველივე მუშათა მოთხოვნა. (გამოსულიყო თუნდ უკანასკნელი ხაზურის და სამტრედიის ამბები).

მაგრამ რკინისგზის მშრომელთა შორის იყო და არის უკმაყოფილებია.

ისინი არ იყვნენ მადლიერი დღევანდელი კავშირებისა. ამას კარგათ ხედვდნენ დღევანდელი კავშირების და ცენტრის მესვეურნი ყოველი ფეხის გააღებაზე.

რა უნდა ექნათ, უნდა გამოენახათ რაიმე საშალები რომ ეს უკმაყოფილება სააშკარავოზე არ გამოსულიყო და შირშივე ჩაეკლათ.

ამ ნიადაგზე მოხდა უკანასკნელი შტატის შემოკლება. რკინისგზის დემოკრატის მოაშორეს და ქუჩაში გაყარეს ათასზე მეტი უმწყო მუშა-მოსამსახურე. ამათ რიგში მოხვდნენ სწორეთ ის მუშები, რომელიც ვერ ურიგდებოდნენ არსებულ კავშირის მოქმედობას.

და აი ამ კავშირებშიც იშოვეს საქმე მათი ქუჩაში გაყარის. ასევე ამ ხერხით სცდილობდნენ და სცდილობენ ერთხანს კიდე იბატონონ რკინისგზის მუშებზე.

რამოდენიმე უკვე მიადწიეს მიზანს. ისეთ დაფრთხეს მუშები, რომ ხმასაც ვერ იღებენ რაც უნდა უსამართლობა ჩაიდინონ.

დღეს რკ. გზის მუშების წინ დგება საკითხი ვინ უნდა ამოირჩიონ.

იმედი დაკარგული აქვთ, ვინც უნდა ამოირჩიონ, თუ სუყველა ძველ კავშირებსაგან არ მოიქცევა, არ გონიათ. ეს შემქლარი ზარია. კავშირები თავისთვის რამ განყენებული საგანს კი არ წარმოადგენენ, არამედ ის მუშაობს და მოქმედობს მისი შემადგენლობის—და მიხედვით. გულგრილათ ყურება მუშების მხრივ თავის საქმეზე დაუშვებელია.

გავისხივით ჩვენი უდიდეს მსწავლელთა სიტყვები: „მუშათა განთავისუფლება, მუშათა საქმიანო“.

მაშ მაგრათ ჩავეკიდოთ ჩვენს უფლებებს. ნუ გაუშვებთ ისეთ შემადგენლობას, რომელიც მუშათა მოძრაობას აძინებს და აჩლუნგებს. ჩვენ თვითონვე მოვიკიდოთ ხელი ჩვენ საქმეს.

რევოლუციონერი მუშები მოვალე

არაინ გამოიხსნან თავი და ნუ დაეფუკარდებიან საჯაროებათ მათ გამყიდველებს. რევოლუციონერ მუშებმა უნდა განახლოონ კავშირები, დააყენონ ახალი გზაზე, შემაღებლობაში გაუშვან მხოლოდ რევოლუციონერ მუშების წარმომადგენლები.

გავდევნოთ ოპორტუნისტები და მუშების არისტოკრატია, რომელნიც დღეს არ გვაძლევენ საშუალებას აზროვნებისას.

ეს რკინის გზის ფრონტი. კავშირების მოძრაობაში გადაშლის ახალ ფურცლებს, სადაც მუშები დანახავენ თავის თავს ნამდვილ თავის საქმეზე, და არა ისეთ როგორც დღევანდელი კავშირები მუშების სახელით და ხელით აკეავენ მათ მოსისხლე მტერის ბურჟუაზიის საქმეს. წაივდა დრო ბურჟუაზიისთან თანამშრომლობისა. ჩვენ თვით უნდა მოვიკიდოთ ხელი ჩვენ საქმეს.

მართალია, აქ ბერი დაბრკოლებები გადაგველობება წინ, მაგრამ ამან არ უნდა შეგვაშინოს.

ჩვენ უნდა მოვიშორეთ თავიდან ყოველგვარი ბურჟუაზიისთან თანამშრომლობა და მათი ნასუფრალის შეწყურენი, ერთ ფინჯან სახელეპში გამყიდველნი მუშათა ინტერესებისა.

გაუმარჯოს მუშათა გამოფხიზლებას! გაუმარჯოს განახლებულ რკინის გზის მუშათა კავშირებს!

გაუმარჯოს კომუნისტებს.

რკინისგზელი.

### რა ხდება საქართველოში კომუნალური.

კომუნალურიდან მთავრობის თავმჯდომარის და დეპუტატ აკ. ჩხენკელის სახელზე მოსულია შემდეგი დეპუტატი: „27 ენკენისთვის, კომუნალურის რაიონის სოფელ კობში მოხდა მკვლელობა ორი მილიციონერისა. ეს ბროტება მთხედარი შემდეგი მიზეზით: ყოვლად უწყინარი მუშაკს სერდალ გულტიანისგან“.

### მუშათა მხობრება.

#### მზარეულების საყურადღებო.

არავითარი კავშირი არ არის ისე ჩამორჩენილი, როგორც მზარეულების კავშირი, როგორც ეკონომიურათ, ისე მატერიალურათ. ვერსაით ხსნა ვერ იგებს იყვნენ აქ მოწინავე პირები ისინი თბილ თბილ ალაგებულ მოქცევენ. ზოგი არტელებში და ზოგი სხვაგან. ისინიც გადაიქცენ იმ ბოზობა ხაზინებთან, რომელნიც ყოველ წუთში მუშის სისხლსა სწოვდენ, ეს ჩამორჩენილი მასსა ღვთის ანაბარა გაუშვებს. თუ რამე სიმბილე იყო კავშირში და ორიოდ გროში თითონ მიისაკუთრეს და კავშირი ცარიელი დეტოვს. ამდენი უსამართლობა ხალხმა ვერ მოითმინა და გადააყენეს რამოდენიმე კავშირის წევრი. უნდოდა პასუხისგებაში მიეცა კიდევ მარა საერთო კრების დადგენილებით ეპატივით. ხელახლად იქნა არჩეული მთელი გამგეობა და თავმჯდომარე. აგრეთვე სარევიზიო კომისიაც. მას შემდეგ თუცა გამოცოცხდა კავშირი მაგრამ იქ სინათლე იმდენათაა, რამდენათაც თვით სასაფლაო უშვებენ. მაგრამ ამ ეკონომიურმა გაჭირვებამ იმდენათა იძულო მოსამსახურეები, რომ კავშირს ავიწყებინებენ, მიდის კავშირში და უყურებს ცარიელ კედლებს. ამდენმა დაპირებამ ტკბილ სიტყვამ ყურების დაუყრუა ხალხს. ხალხი თხოვილობს ადგილს, დახმარებას ეკონომიურათ და მატერიალურათ ამის შესახებ არავითარი პასუხი და ნუგეში არარის. თუ რამე ჰქონდა დარჩენილი ძველათ ნაცილი დღეს გამოაქს და ყიღის ბაზარზედ თუ არა ძალაუნებურათ უნდა წავიდეს და დღედაღამ იმუშავოს სადმე რომ ცხოვრება შესძლოს და ერთი გირვანქა ჰქონდეს მისთვის თვის ცოლსა და შვილებსა და მით ანუგეშოს დამშულები ცოლშვილი. კავშირიდან გაიგზავნა თხოვნა მოძრაობის სამინისტროში რომ ის დახმარებოდა კავშირის წევრებს კოპორატიული დაწესებულებებიდან სურსათით ისე, როგორც სარგებლობს დანარჩენი მუშები არავითარი პასუხი არ არი. ერთხელ იყვნენ, ორხელ, მოსწყინდათ იქ სიარული. მიიწვევიანთი დასვენება ვერ გამოიტანეს. იწვირალს ეთქვა: თქვენ არ გეკუთნით დახმარება რადგანაც თქვენ

საღამო ხანს სახლში მიჰქონდა ცხენზედ აკიდებული ფიცრები. ზაზი შეხვედრია ორი მილიციონერი, დაუნახავთ მისთვის წილში გარკობილი უბრალო რევოლვერი ტყუარითვე. გულტიანის მიმართებები რევოლვერის დაბრუნებას, მილიციონერებს შეტის-მეტად უცემიათ მისთვის. ეს საშინელი დამცირება გულტიანის ვერ აუტანია, მისულა სახლში, აუღია თოფი და მილიციონერების პოსტისათვის დაუშენია. მოუკლავს ორი მილიციონერი, ამის შემდეგ კობში მოვიდა დასჯელი რაზმი, რომელიც ართმევს ხალხს ჯარისთვის საქმელს, სცემენ ხალხს, ართმევენ სიმინდს ცხენებისათვის, სჭრიან ახალ სიმინდს, მოკლულს ოჯახები-სათვის მოითხოვენ ერთ მილიონ მანეთის გადახდას და ამ ფულში მიჰყავთ ძროხები, ხარები, თხები, მიაქვთ სპილენძიქოლბა, ნახები და სხ. წაყვანილი საქონელი სიმშლით იხოცება, თუთხ-მეტ ათასათ ღირებულად—ხუთი-ათასათ მიაქვთ. მთელი კომუნალურის რაიონის მუსულმან ქართველების სახელით უმოჩილესად გახობენ მფარველობას, ხალხი მხადდა გადაიხადოს ჯარიმა, მაგრამ ამას ვერ შესძლებს. სამი დღის განმავლობაში გთხოვთ ორი კვირის ვადას, გთხოვთ უბრძანოთ რაზმს, ხალხს ნუ ააწიოკებს, გთხოვთ დაუბრუნდეს ხალხს წაყვანილი საქონელი და ავეჯიულობა, რომ 2 კვირის განმავლობაში გაწვიროდ ჯარიმას კი გადაიხდიან. თვალ-ცრემლიანი გვეგდრებით თხოვნის შესრულებას, მამობის გაწევას. ფიცს ვდებთ, რომ დამნაშავეებს ჩვენც ვდევნით და მათი მოქმედება გვაშფოთებს. იმედი გვაქვს თხოვნა არ დარჩება ჩვენი საერთო სამშობლოს მეთაურის ნიერ უყურადღებოთ.

ღურსუნ მოწყობილი, ხუსენი გოვბერიძე, კესკინ ინაშვილი, მამულ შავიშვილი, უსუფ ჩინჩარაძე, ხსან გულთაიშვილი, დარსუნ ევგენიძე, მერაბ ჩაქველი, ხუსენი შავიშვილი, კედემ ჩკონია, ხუსენი გოგობიძე, ხუსენი შკერია, მემედ ავაჩკონია. („ერთობა“ № 226).

### მუშათა მხობრება.

#### სადაც მუშაობთ იქ ღებულობთ სურსათს.

კარგი, ჩვენ ვდებულობთ მარა ჩვენი ცოლშვილი, შშობლები? იმათ რა უყო? ეგ ჩვენი საქმე არ არის. სურსათს ვდებულობთ, ღინარჩენი არა უნდა. რა? როგორც სხვა მუშას დახმარება ისე მოგვეცეს ჩვენიც. ბევრი მუშა სარგებლობს თავის ხელობით როგორც თი-ო-ნ ისე თავის ცოლშვილიც. (რკინის გზის და ტრამვას) მაშ იმასაც ნუ მისცემთ—დახმარებას უადგილო კაცმა როგორ დახმაროს ამ სიძვირის თავი როდესაც გირვანქა ჰქონდა 40 მანეთი. პურზე ზედმეტია ლაპარაკი იმას სულ ვერ იგემებს მისი შეხედავც ეზარება, როდესაც იმის ჭამის ღირსი ვინ გახთის მუშას.

ზაზარში ვერაფერს იყიდი, ისეთი სიძვირია. თავბრუ-დასხმული, დარტყანი-ბული წამოხვალ სახლში და დასტირი შენს ბედს. გაიხედავ კავებებსა და რესტორანებში ბოზობები დაგორავენ. იმათ სიძვირე სულაც არ დასხმებიათ, ის როგორც უწინ იყო, ეხლა უკეთ არი. წინად ამისთანა გასართობი სად იყო, როგორცაა ეხლა. თავისუფლება იმისთვისაა ეხლა. ჩვენთვის ისევ ბნელი სარდაფი და ქარი—ა, მუშის თავისუფლება და სამოთხე.

საწყალი კაცი თხოვლობს დახმარებას თავის შრომისათვის, რომ ამ სიძვირეს გადაურჩეს, და შენ არ გერგებო, ეუბნებიან სიმართლის მოქმედებები. იმათთვის კი ჩიტის რძეს არ იზურებენ, მიბრძანდით სასტუმროში და რაგინდა რომ არ მოგიტანოს.

„ფრასკის“. პატრონი და ექვთა სასტუმრო და მუშებს თუ ერგებოდათ ოკუპაციის, მისცეს ხუთი თასი, მუშებს არ ქონ, ათ მიღებული სამი თვის ჯამაგირი, დღესაც ეს მუშები უსაქმობა დაიარებიან ათი თვე სრულდება მას შემდეგ, რაც ეს სამი თვის ჯამაგირი არ აუღია მათ.

ბავაში.

#### უპასუხისმგებლო მოსამსახურეები.

საქართველოს მენშევიკები ხშირათ ასუფთავებს ხან რკინის გზას და ხან სხვა და სხვა სახელისნოს. ხოლო ალა-

ხმა უწყის როგორც პირებისგან ასუფთავებს: ქურდებისგან თუ ქურდების მოწინააღმდეგეებისგან მე ვიტყვი, რომ უფრო მეორეთაგან, ვიდრე პირველისგან.

მე მინდა მკითხველის ყურადღება მივაქციო იმას, რომ ამ სამი თვის წინათ შინაური ბარგი წინით 1 ფუთი დამეკარგა და ვიპოვე მესამე თვეზე, რომლის ძებნაშიდაც დავხარე ექვსასი თუმანი, მხოლოდ ტანისამოსი სულ გავეშუქულიყი. შემდეგში ოთხ ოქტომბერს ჩემმა ოჯახობამ მისცა ბავაჯი წინით ფუთი და 7 გირვანქა რომელიც თბილისის სადგურზე კიდევ მიიღოთ. როდესაც მოვიბოხე, ასეთი პასუხი მომცეს თქვენი ბავაჯი მოვიდა და ვილაკამ მოგვარაო. როდესაც მე ვუთხარი რაღა ჩემი ბავაჯი იკარგებათქო, ასეთი პასუხი მივიღე ჩვენთან ეს პირველი არისო და მოგრიგდეთო, მეც უთხარი კარგიოქო; წამიყვანეს მოსარბებელ ოთახში, დაუბანეს რამდენიმე კაცს ეხლა სხვა დრო არის კაცები კვდება და არავინ პასუხს არ აგებს და შენი ბარგი რა იყო, რომ ეგრე ჯავრობო, რას აუასებ შენს ბარგსო. მე უთხარი ვაჭარი არ ვარ, თქვენ როგორც ვაჭრის მოსამსახურეები უფრო კარგად გეცოდინებთ თვის შემომადღეს რაც მიღრდა იმისი მეოხედი. მე არ დავთანხმებ მეგრე დამე-მუქრენ. ვერც მუქარამ ვასკრა და ჩემდეგ უთხრეს ერთი მეორეს წაიყვანეთ თარხანოვთან და ოქმი შეუყენოს და თვითონაც პასუხის გებაში მისცეს, ჩვენ შენთვის კეთილი გვეინდა და არ გინდა ეხლა ბევრიც რომ შემეხვეწოთ მაინც არ მოქცემთ არაფერსო. მეც შეინტერესებოდა თუ როგორ დამხიდიდნ და წავეყვი. მივედი ბატონ თარხანოვთან სადაც ჩემს გარდა კიდევ იყვნენ ჩემისთანა მომჩივნები ოთხი სხვა, რომლებსაც ბარგი დაკარგოდათ. თარხანოვმა შემომხედა და იყვირა რა გინდა აქ ვადით და იქ მოურიგდით მუშებსო.

როს მოურიგდევ მე არაფერს ვყიდულობ, როცა ნახა, რომ არ შეგშინდი, გაისტუმრა ყველა უარით და ჩემთან დაიწყო ვაჭრობა. მოურავდით მუშებს, ეხლა მე რომ ოქმი შევაყენო შენ პასუხის გებაში მივცემენ და საქმეს სამი წელიწადი უნდა სდიო და სამი წლის მერე მიიღებ 300 მანეთს, კიდევ ვასკრა ბ. თარხანოვის შუაგობამ და მეც გავხდი იძულებული და ხუთასი თუმანი მაგიერათ მომცეს 2000 მანეთი. ასე იცავენ მშრომელი ხალხის ინტერესებს. რისი გული ქონდა ბ. თარხანოვს როდესაც წვრილი შვილების პატრონი ტირილით გამოისტუმრა, მაგრამ შეიძლება სპექულიანტებთან არიან დამეყული და ჩვენც ვეგონეთ სპექულიანტები, ეს ხომ იმათი ბრალი არ არის, ხო იცით ანდაზა: ჩვეულება რაგულზე უმტკიცესია.

გლეზი მუშა.

### მუშათა ქრონიკა.

კვირას, 17 ოქტომბერს შესდგება საერთო კრება „ნენსის პროლეტარის“ პროფესიონალურ კავშირთა წევრების. დღიური წესრიგა შემდეგია: 1) მუშების ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესება, 2) უმუშევართა ფონდი, 3) კოლექტიური ხელშეკრულება, 4) სატარიფო პალატა და სხვა კითხვები.

რადგან გასარჩევია მეტათ საყურადღებო კითხვები, ამიტომ სავალდებულოა ყველა წევრების დასწრება.

საქართველოს კომუნისტურ პარტიის თბილისის კომიტეტმა 12 ოქტომბერს სტეფანოშვილს დაადგინა: პარტიიდან გამორიცხოს თბილისის მეოთხე რაიონის ორგანიზაციის წევრი რანუშ აკოპოვი, რადგან ის არ ემორჩილება პარტიულ დისციპლინას.

### თფილისის კომიტეტი.

### პროვინციის ცხოვრება.

სამურზაყანო (აფხაზეთში.) ერთ წელიწადზე მეტია, რაც სამურზაყანოში მუშაობს ერთობა. ამ დაწესებულებას მენშევიკები ეძახიან დემოკრატიულს. მაგრამ მათდა საუბედუროდ ამისთანა აზრი სიმართლეს მოკლებულია. ჩვენ ვხედავთ მენშევიკების „ბელადობას“ ბელადობას, მათ მუშაობას

საზღვარების და განსაკუთრებით დარბ-ლატაკია სასარგებლოთ. აღსანიშნავია ერთი გავრცობა, ერთი ის უტყუარი ფაქტი, რომელიც მზის სხივსე-შურად ფარდას ხდის მენშევიკების ვაკოტრებას.

სოხუმის ოლქში არსებობს ერთი საოსტატო სემინარია ქ. სოხუმში. ესლანდელ აუტანელ მდგომარეობაში საჭირო გახდა ყველა მოწაფეებს მოეტანათ სემინარიაში ორ-ოარი ფუთი სიმინდი თვეში იმ მოწაფეებმა, რომლებიც ცხოვრობენ სამურზაყანოში, მიმართეს თხოვნით სამურზაყანოს ერთობას, რათა დახმარება გაეწია სიმინდის გადახდივაში. სამურზაყანოს ერთობის თავმჯდომარე ვახლავთ ვინმე ფიჩხია, მისი აზრანავი კი დალოცვილი ი. ჯღანჯღავა მოწაფეების თხოვნას უარით უპასუხეს იმ მოტივებით, რომ „თქვენ სემინარისტები, ხართ ბალშევიკები“. ეს უკანასკნელი მისი (ი. ჯღანჯღავას) სიტყვა სწორი დამახასიათებელია სამურზაყანოს ერთობის; ბელადებს ვერ შეუწინათ ის ფაქტი, რომ სოხუმის სემინარიაში სწავლობენ უმთავრესად ღარიბ მუშა-გლეხების შვილები. მათ ვერ სცოდნიათ, რომ სოხუმის სემინარია არის ერთად ერთი დაწესებულება, საიდან გამოდიან მასწავლებლები დაფხაზეთისთვის. მათ არ სურთ დახმარება გაეწიონ მოწაფეებს იმიტომ, რომ „ბალშევიკურ პროპაგანდას ეწვივიან სამურზაყანოში“. კიდევაც მენშევიკ ჯღანჯღავას დაუძინა: „სწავლა კი არა, თქვენ სემინარიიდან უნდა გაგაძევათო“ ი ი მენშევიკების დამახასიათებელი სიტყვები. იდეურ ბრძოლის მაგვრად ხმარობენ ყველა თავის აპარატს, რათა აღმოფხვრილიყოს ბალშევიკური იდეის გავრცელება საქართველოში. მაგრამ ცხოვრებას რაც მოჰყავს მის წინააღმდეგ გალაშქრება უნდადაგო-უნაყოფია.

თავილანელი.

### კომუნისტების დევნა. ბრკალდება.

#### ქ. ჭიათურის მილიციის უმფროის ნადირობის შედეგი.

დღიდან ლეგალიზაციის გამოცხადებისა, ქ. ჭიათურაში გაიხსნა კომუნისტური ორგანიზაციის ბიურო, სადაც სწრაფი სიჩქარით, მოხდა პარტიის წევრების მიღების შემდეგ ძველი და ახალი პარტიის წევრების რეგისტრაცია. სხენებულ ბიუროში, ეწვერობდენ მრავალი მუშები პარტიის წევრათ, რის შემდეგ დღის წესრიგში დადგა მენშევიკების ორგანიზაციის ვაკოტრება, რომლის შიში მოსვენებას არ აძლევდა მენშევიკებს. მაგრამ ვერც ჭიათურის კომუნისტური ორგანიზაცია აცილდა მენშევიკებისაგან ამ საერთო შემოღებულ რეპრესიებს.

მენშევიკების ორგანიზაციის კომიტეტმა მოიწვია კომუნისტების დევნაში გამოცდილი სტრატეგები და სასწრაფო კრების შემდეგ გამოიტანეს ასეთი დადგენილება: დავალოს მილიციის უფროსს ქვარიახს ჭიათურის მუშების დაფრთხობა და შეშინება, რის შემდეგ ადვილათ დავარდნათ კომუნისტების ბიუროს, ამიტომ დაქერილი იქნას მუშებში ცნობილი მუშა-ბალშევიკები და მათი ხელმძღვანელი ცნობილი ბალშევიკები. მაგრამ რომ რუსეთის ხელშეკრულება არ იქნეს დარღვეული ლეგალიზაციის შესახებ, ამიტომ ბრალდება იქნეს მიღებული, როგორც, საერთოდ, შინაგან სამინისტროს მიერაა გამომუშავებული...

მაგრამ კითხვა იმაში იყო, ვის უნდა სწვევოდა ასეთი ბედი: მენშევიკებისაგან გაააწვრა რწმენის თავისუფლებისათვის? ვისაც ჭიათურის მუშები იცნობს ესეგე, გალაქ. ვაშაქს, როგორც მუშებში მუშათ ცნობილი და ამავე დროს კომუნისტური პარტიის წევრს ალექსანდრე კოტრიკაძეს, სეფე ჭეიშვილს, გლეხებში მიწის მუშა გ. ბოლოკიას და სხვა კიდევ ექვსიოდ; რომლის შემდეგ თანახმად მენშევიკების ბრძანებისა 28 ივლისს დამთ მილიციის უფროსმა ქვარიანმა გააწავა კომუნისტებზე ნადირობა. ამრიგათ დაპატიმრებული იქნენ გ. ვაშაქე, ალ. კოტრიკაძე, სეფს. ჭეიშვილი, გ. ბოლოკია და სხვა, რომლებსაც ბ. ქვარიანმა წააყენა წინასწარი გამო მუშაგებული ბრალდება, როგორც არის: საქართველოს რესპუბლიკის მოწინააღ-

მდევე, აწყობდენ აჯანყებას, არიგებდენ იარაღებს; ეწვიოდენ ავტოციას და ასე შეისთხინილი ცილის წამებით გაისტუმრეს საგუბერნიო ციხეში. ერთი თვის შემდეგ გაათავისუფლეს გალ. ვაშაქე სხვა და სხვა მოსაზრებით. დანარჩენნი, ორი თვის შემდეგ ბრალდების დაუმტკიცებლათ გადაასახლეს.

ნუ თუ ბატონო მენშევიკებო ასეთი ცილის წამებით, გადასახლებით დააფრთხობთ ჭიათურის, როგორც მუშებს ისე კომუნისტებს? ნუ თუ ჭიათურის მუშებს არ გაციენებთ თქვენ მიერ შეთხინულ ბრალდებებზე? ნუ-თუ ჭიათ. მუშები არ იცნობენ ალექსანდრე კოტრიკაძეს და სეფე ჭეიშვილს, რომლებიდანაც ერთი ყოველდღე მუშაობდა წყალსადენზე და მეორე კი ქარხანაში, რომლებიც ვითომც ეწვიოდენ ავტოციას, აწყობდენ აჯანყებას, არ იგებდენ თოფ-ზარბაზნებს; მაგრამ კითხვა იმაშია, სად აწყობდენ აჯანყებას. სად არიგებდენ იარაღებს? ალბათ ამავე მუშებში? მერე და რატომ არ დაუმტკიცეს? იმიტომ რომ საბუთი არ ქონდათ, მხოლოდ კომუნისტური პარტიის წევრობისათვის აღმინისტრაციულათ ასახლებენ საქართველოს საზღვრებიდან. მაგრამ რა გააკეთეს ამით? ჭიათურის მუშებს დააფრთხობდენ, კომუნისტებს დაასუსტებდენ ვითომც. მაგრამ ასეთი ცილის წამებით რწმენის თავისუფლებისათვის დევნა, რეპრესიები, როგორცაა დაპატიმრება, გადასახლება, უფრო გააძილებს კომუნისტური პარტიის ლაშქარს, რომელიც ძირს გამოეცხადება და დანარჩენებს მენშევიკების „სოციალისტურ“ პარტიის ალექსანდრე კოტრიკაძის გადასახლებით თქვენ მოუსპეთ მათ ოჯახს-გულს თადერთი მარჩენალი წვრილ ცოლშვილს და მოხუცებულ მშობლებს, რომლებიც მისი დაპატიმრების და გადასახლების შემდეგ ღვთის ანაბარათ არიან მიტოვებულინი. მაგრამ ასეთი რწმენის თავისუფლებისათვის და კომუნისტურ პარტიის წევრობისათვის შემოღებული თქვენი რეპრესიები უფრო ახდის ფარდას თქვენს ბურჟუაზიულ მისწრაფებას შრომელი კლასის წინააღმდეგ; რაზედაც თვით მშრომელი კლასი მოგათვის პასუხს.

სოფიასიერი.

### ფონდი

მიღებულია თფილისის კომიტეტისაგან ამაზნავთა შორის შეგროვული ჩვენი გაზეთის ფონდის გასაძლიერებლათ 1825 მან.

დრ. რედაქტორი: ა. ქურიძე.

### განცხადებანი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურო მოთავსებულია პასკევიჩის ქ. № 3, მეორე სართული, ტელ. 9—81.

ცენტრ. კომ. ბიურო ღიაა დღის 11—1 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.

ს. კ. 3. თბილისის საგუბერნიო კომიტეტის ბიურო მოთავსებულია პასკევიჩის ქუჩ. № 3, მეორე სართული. ტელ. 8—91. ბიურო ღიაა დღის 9—2 საათამდე.

ს. კ. 3. თბ. პირველი რაიონის ბიურო მოთავსებულია ჩერქეზოვის ქუჩ. № 135. ბიურო ღიაა საღ. 5—7 ნახ. საათამდე.

ს. კ. 3. თბ. მეორე რაიონის ბიურო მოთავსებულია რუსთა ეროვნულ საბჭოს ბინაზე (ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ), სადაც სწარმოებს ახალი და ძველი წევრების რეგისტრაცია.

ს. კ. 3. თბ. მესამე რაიონის ბიურო მოთავსებულია რუსთა ეროვნულ საბჭოს ბინაზე, სადაც სწარმოებს ახალი და ძველი წევრების რეგისტრაცია.

ბიურო ღიაა დღის 10—1 ნახ. საათამდე და საღამოს 5—7 ნახ. საათ.

ს. კ. 3. თბილისის მეოთხე რაიონის ბიურო მოთავსებულია რუსთა ეროვნულ საბჭოს ბინაზე (ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ), სადაც სწარმოებს ახალი და ძველი წევრების რეგისტრაცია.

ბიურო ღიაა დღის 10—1 საათამდე და საღამოს 4—7 საათამდე.